27/08/2019

ქართულ-ოსური ახალგაზრდული ბანაკი ბობოყვათში

საქველმოქმედო ფონდი „ლაზარე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს მხარდაჭერით ანხორციელებს პროექტს, – „ქართულ–ოსური სამშვიდობო ინიციატივა,“ რომლის მიზანია ახალგაზრდებში ტოლერანტობისა და სამშვიდობო სულისკვეთების გაღვივებით ქვეყნის აღმშენებლობისათვის ხელშეწყობა.

ა.წ. 17–დან 26 აგვისტომდე განხორციელდა საზაფხულო ბანაკი, სადაც 50–მდე ქართველი და ოსი ახალგაზრდა იღებდა მონაწილეობას. ეს ცხრა დღე დატვირთული იყო შემეცნებითი და სახალისო აქტივობებით, ჩატარდა ქართულისა და ოსური ენის გაკვეთილები, სესიები კონფლიქტის ტრანსფორმაციაში, არაფორმალური განათლების თამაშები და სხვა.

სასიამოვნო ფაქტია, რომ ახალგაზრდები თვითონ გეგმავდნენ და ყოველდღიურად ანხორციელებდნენ საღამოს ღონისძიებებს, რომელიც მიზნად ისახვდა საკუთარი კულტურის ურთიერთგაცნობას, შერეულ ჯგუფებში გუნდურ მუშაობას და კრეატიულობის განვითარებას.

„ქართულ–ოსური სამშვიდობო ინიციატივა“ ფონდი „ლაზარეს“ კიდევ ერთი წარმატებული პროექტია და გაგრძელებაა ახალგაზრდიული ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანულ-აფხაზური ბანაკისა.

ამ საქმეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II სრულ მხარდაჭერას უცხადებს და უკვე მეორე წელია პროექტს ბობოყვათის საპატრიარქო რეზიდენციას უთმობს.

patriarchate.ge